



დანართი NI

„დამტკიცებულია“
სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის
2020 წლის 07.07 N 04-152 ბრძანებით

სსიპ კოლეჯის „მერმისი“

საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პროცედურები

მუხლი 1. საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესაბამისობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროცესებთან

- 1.1. კოლეჯის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა მოიცავს კომპიუტერულ ტექნიკას, ქსელს, უსაფრთხოების კამერებს, ელექტრონული აღრიცხვის სისტემას და IP სატელეფონო კავშირს. კომპიუტერულ ტექნიკას კოლეჯი იყენებს როგორც მართვით, ასევე სასწავლო პროცესის მიზნებისათვის. დაწესებულება აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი, სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით, რომელიც პერიოდულად განახლებადია. კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკა ინტერნეტში ჩართულია 24/7 რეჟიმით, როგორც პერსონალისათვის განკუთვნილ სამუშაო ოთახებში, ასევე სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილ სასწავლო სახელოსნოებში, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, თეორიულ აუდიტორიებში, კომპიუტერულ კლას-კაბინეტებში და სხვ.
- 1.2. საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვას უზრუნველყოფს კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორი, რომელიც სისტემატიურად ამოწმებს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესაბამისობას კოლეჯში მიმდინარე პროცესებთან და კვარტალში ერთჯერ ანგარიშს წარუდგენს ხელმძღვანელს.
- 1.3. კომპიუტერული ტექნიკისა და პერიფერიული მოწყობილობების გამართულ მუშაობას (როგორც ტექნიკურ, ასევე პროგრამულ დონეზე) უზრუნველყოფს ქსელის ადმინისტრატორის ასისტენტი.
- 1.4. კომპიუტერული ქსელის გამართულ მუშაობას (როგორც ტექნიკურ, ასევე პროგრამულ დონეზე) უზრუნველყოფს ქსელის ადმინისტრატორი.
- 1.5. საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე მუდმივ ზედამხედველობას უზრუნველყოფს ქსელის ადმინისტრატორი, რომელიც მომხმარებელთა მხრიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე ახორციელებს კომპიუტერული ტექნიკის მდგომარეობის შესწავლას და საჭიროების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას დაზიანებული სისტემების შეკეთების/ახლით ჩანაცვლების შესახებ.

1.6. კოლეჯის მთელ პერიმეტრზე, მათ შორის ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, მისაღები და სხვა უზრუნველყოფილია უსადენო წვდომის ქსელით (Wifi). უსადენო ქსელის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება ქსელის ადმინისტრატორის მიერ.

1.7. უსადენო ქსელის უსაფრთხოებასა და დაცულობას როგორც ტექნიკურ ასევე პროგრამულ დონეზე ახორციელებს ქსელის ადმინისტრატორი.

1.8. კოლეჯს ინტერნეტ მომსახურებას უწევს ინტერნეტ-პროვაიდერი, რომელთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. მომწოდებლისაგან ინტერნეტის მიღება ხდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხის საშუალებით.

1.9. IP სატელეფონო სისტემის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს ქსელის ადმინისტრატორი.

1.10. სამუშაო ადგილზე გამოცხადება და სამუშაო ადგილიდან გასვლა აღირიცხება კოლეჯში მოქმედ თანამშრომელთა აღრიცხვის ჟურნალში (ელექტრონული ბარათების მეშვეობით), რომლის ტექნიკურ კონტროლს, მომხმარებლის დამატება/წაშლას, მომხმარებლის ბარათის აღდგენას ახორციელებს ქსელის ადმინისტრატორის ასისტენტი.

მუხლი 2. IT ვირუსებისგან დაცვის სისტემა

2.1. კოლეჯში მოწყობილია ზოგადი სტანდარტის შესაბამისი ქსელი (Router - -> ვარსკვლავური ტოპოლოგიის ლოკალური ქსელი). საკაბელო ქსელით დაფარულია კოლეჯის მთელი ტერიტორია.

2.2. კოლეჯის ყველა კომპიუტერი აღჭურვილია ქსელის ადმინისტრატორის მიერ რეკომენდირებული და დაყენებული ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფით. ანტივირუსული ბაზების განახლება ხორციელდება 2 თვეში ერთჯერ.

2.3. უსადენო ქსელის ყველა წერტილი დაცულია უსაფრთხოების შიფრით, რომლის განახლებაც ხდება ექვს თვეში ერთხელ.

2.4. კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორის მიერ ჩატარებული კომპიუტერული ქსელის მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღიურად. ქსელის მონიტორინგის ამსახველი ჩანაწერები ინახება მონიტორინგის ჩატარებიდან 2 კვირის განმავლობაში მყარ დისკზე.

მუხლი 3. პერსონალურ მონაცემთა დაცვა

ვიდეო-სათვალთვალო სისტემის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს ქსელის ადმინისტრატორი. ვიდეო ჩანაწერის შენახვა, ჩანაწერის ნახვა/სხვა პირთა დაშვება სანახავად ხორციელდება პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმების შესაბამისად.